სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 05-04-11/849

ქ. თბილისი 02 07 2019 წ.

კერძო სამართლის აკადემიურ დეპარტამენტთან

,,სანოტარო ლაბორატორიის"

შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2019 წლის 14 ივნისის №01-06-02/33 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე, 2019 წლის 14 ივნისიდან კერძო სამართლის აკადემიურ დეპარტამენტთან შეიქმნას ,,სანოტარო ლაბორატორია".

რექტორი არჩილ ფრანგიშვილი

სანოტარო სასწავლო-პრაქტიკული ლაბორატორია

სანოტარო ლაბორატორია ინოვაციურია სასწავლო დაწესებულების სივრცეში და წარმოადგენს სტუდენტთათვის სანოტარო საქმიანობის დაუფლების საუკეთესო შესაძლებლობას.

სანოტარო ლაბორატორიის მიზანი:

სანოტარო სამართლით დაინტერესებულ სტუდენტებს მისცეს ცოდნა სანოტარო კანონმდებლობისა და მნიშვნელობის, სანოტარო სამართლებრივი ნორმების, ნოტარიატის ორგანიზაციის, თანამდებობის დაკავების წესის, ნოტარიუსის უფლებებისა და მოვალეობების, აგრეთვე სანოტარო სამართლის მარეგულირებელი ნორმების და ძირითადი დებულებების შესახებ, მისი მარეგულირებელი სხვადასხვა სტანდარტებისა თუ ინსტრუქციების შესახებ, მისი განვითარების, პერსპექტივების, აგრეთვე, სანოტარო სამართლის თანამედროვე კონცეფციებისა და მიდგომების შესახებ;
გამოუმუშაოს სამართლებრივი ლოგიკა და არგუმენტაცია, სამართლებრივი წერის კულტურა, სანოტარო აქტების შედგენა-მომზადების უნარი.

სანოტარო ლაბორატორიის ამოცანები:

სტუდენტმა შეიძინოს ცოდნა იმ სანოტარო სამართლებრივი აქტების შესახებ, რომელიც ექვემდებარება ნოტარიულ დამოწმებას;

გაეცნოს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით შემდეგ სასწავლო საკითხებს:

1. შეისწავლოს სანოტარო მოქმედების სახეები;
2. სანოტარო დოკუმენტზე ხელმოწერის შესრულების წესი;
3. სანოტარო დოკუმენტში შესწორების შეტანის წესი;
4. ნოტარიუსის ორგანოების კომპეტენცია;
5. სანოტარო მოქმედებათა სასყიდლიანობა(სანოტარო ბაჟის გამოთვლის წესი);
6. სანოტარო რეესტრი და სანოტარო დოკუმენტის შენახვის წესი;
7. სამემკვიდრეო საქმეთა თავისებურებანი-სამკვიდრო მოწმობის გაცემის წესი და პირობები;
8. გარიგების სანოტარო წესით დამოწმებისას მნიშვნელოვანი პირობების გამოვლენა;
9. სამეწარმეო თუ არასამეწარმეო იურიდიული პირებისა და მათი ფილიალების სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმება და მათთვის სხვა სანოტარო მომსახურების გაწევა;
10. ნოტარიუსის მიერ სხვა ფაქტების დადასტურება;
11. ფულისა და ფასიანი ქაღალდების დეპოზიტში მიღება, პირის განცხადებებისა და

სხვა დოკუმენტების მესამე პირისათვის გადაცემა;

12. ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემა.

ზემოაღნიშნული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი იქნება მთავარი მიზანი ლაბორატორიის მუშაობისა. აღნიშნული ცოდნა დაეხმარება სტუდენტებს გამოიყენონ იგი თავის პროფესიულ საქმიანობაში.

სასწავლო კურსის გავლის შემდეგ სტუდენტი შეძლებს:

- სანოტარო სამართლის ნორმების განმარტებასა და პრაქტიკაში ეფექტურად გამოყენებას;
- სანოტარო სამართლებრივი დოკუმენტაციის შედგენას.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

სანოტარო ლაბორატორიაში სანოტარო სამართლისა და სანოტარო მოქმედებათა შესასწავლად გამოყენებული იქნება სხვადასხვა მეთოდი.

მასალის ვერბალური გადაცემის გარდა (ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი), გამოყენებული იქნება ახსნა-განმარტების მეთოდი. აღნიშნული მეთოდი გულისხმობს კონკრეტული საკითხის ირგვლივ მსჯელობას. სხვადასხვა საკითხის შესწავლისას მოყვანილი იქნება კონკრეტული მაგალითი (კაზუსი), რომლის დაწვრილებითი განხილვაც მოხდება მოცემული თემის ფარგლებში. ჯგუფური შეხვედრების დროს გამოყენებული იქნება კაზუისტიკური სწავლების მეთოდი (შემთხვევის ანალიზის (CASE STUDY) მეთოდი), რომელიც ეფუძნება კონკრეტული შემთხვევების (კაზუსების) განიხილვას, აგრეთვე დისკუსია/დებატების მეთოდი, რაც გულისხმობს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხისა და აქტივობის ამაღლებას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს მეთოდი განუვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს. სასწავლო კურსის შესასწავლად გამოყენებული იქნება წერითი მუშაობის მეთოდი, რაც გულისხმობს სტუდენტის მიერ სანოტაროსამართლებრივი დოკუმენტაციის მომზადება-შედგენის უზრუნველყოფა.